ხელშეკრულება №MDF/D/NCS/037-2017

ქ. თბილისი

7 ივლისი 2017 წ.

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აძვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3 „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება შესყიდვის შესახებ;

1.4 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, **სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი** (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის გალაქტიონ ბუაძის სახით და მეორეს მხრივ, **სპს ორიონი-ყალაბეგაშვილი** (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის მაია ყალაბეგაშვილის სახით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

3. ხელშეკრულების საგანი

3.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს 2017 წლის 30 აგვისტოს ქ. თელავში და 31 აგვისტოს სოფელ კონდოლში დაგეგმილი თელავის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობისა და ფუნქციონირების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ შემსყიდველის განცხადების ერთჯერადი განთავსება (CPV79341000) რეგიონალურ გაზეთში „სპექტრი“ და მიმწოდებლის ვებ-გვერდზე www.speqtri.ge.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მომსახურების მიწოდებისათვის გათვალისწინებული ყველა ხარჯისა და მიმწოდებლისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით შეადგენს **50 (ორმოცდაათი) ლარს.**

5. ხელშეკრულების მოქმედების და მომსახურების ვადები

5.1. განცხადება უნდა გამოქვეყნდეს ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს ხუთი დღის ვადაში.

5.2. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ***2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.***

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. მიმწოდებელი პასუხისმგებელია მიწოდებული მომსახურების ხარისხსა და ვარგისიანობაზე.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას შესყიდული მომსახურების ღირებულება.

6.3. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

6.4.შემსყიდველი და მიმწოდებელი პასუხს არ აგებენ მესამე პირთა მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

7. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

7.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

7.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.5 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე პასუხისმგებელი პირი და მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირია გარემოს დაცვის სპეციალისტი ანა რუხაძე.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნდაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

8.2 ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების შესახებ წერილობითი ფორმით შედგენლი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

8.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება განცხადების გაქმოქვეყნების შემდეგ მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

9.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება და დამატება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.4.ყოველ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს ხელშეკრულების ტექსტში არსებული ბეჭდვითი, გაანგარიშებითი ან სხვა აშკარა შეცდომის გასწორების მიზნით, ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

11.1. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის და/ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მხარეები კისრულობენ პასუხისმგებლობას გადაუხადონ მეორე მხარეს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.1 % ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

11.2. მიმწოდებლის მხრიდან ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის და/ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში პირგასამტეხლოს გადახდა შემსყიდველის გადაწყვეტილების საფუძველზე შესაძლებელია განხორციელდეს მიმწოდებელზე ხელშეკრულებით გადასახდელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.

11.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

12.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების

თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.

12.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.4. კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილებების შედეგად, ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში, ხელშეკრულების დანარჩენი პუნქტები რჩება ძალაში.

12.5 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

12.6 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13. დავების გადაწყვეტის წესი

13.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

13.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

14. სხვა პირობები

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელს.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი
სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
ს/კ: 206 074 193
მის: ქ.თბილისი აღმაშენებლის გამზირი 150
სახელმწიფო ხაზინა;
ხაზინის ერთიანი ანგარიში;
ბანკის კოდი: TRESGE22;

გიორგი ბუაძე
აღმასრულებელი დირექტორი

მიმწოდებელი
სპს ორიონი-ყალიბეგაშვილი
მის: ქ. ურჯაანი, ნონეშვილის 4
ს/კ 227725511
სს "ლიბერთი ბანკი"
ბანკის კოდი: LBRTGE22
ა/ა: GE93LB06 1000 9936 0899 18

მაია ყალაბეგაშვილი
დირექტორი

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი

07 ივლისი 2017 წ.

ვადასტურებთ, რომ სპს ორიონი-ყალაბეგაშვილის მიმართ სრულად ვაკმაყოფილებთ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის
შესყიდვების სამსახურის სპეციალისტი

ნესტორ ფაცაცია

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის
გარემოს დაცვის სპეციალისტი

ანა რუხაძე

ინვოისი

N 8

7 ივლისი 2017

მყიდველი:

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

საქართველო, 0112 თბილისი,

დავით აღმაშენებლის გამზ. 150

დასახელება	რაოდენობა	ერთეულის თანხა
1. განცხადების გამოქვეყნება გაზეთ „სპექტრში“ და ვებგვერდზე: www.speqtri.ge	1 -ჯერ	50,00
	სულ თანხა:	50.00 (ორმოცდაათი ლარი)

დირექტორი: მ. ყალაბეგაშვილი მაია ყალაბეგაშვილი

ს.პ.ს. “ორიონი-ყალაბეგაშვილი” საქართველო, 1500 გურჯაანი, წონეშვილის 4
ტელ/ +995 (353) 223938; ელ-ფოსტა: speqtri2003@yahoo.com

| რეკვიზიტები: ს/კ 227725511“ლიბერთი ბანკის გურჯაანის ფილიალი”
ბანკის კოდი LBRTGE22ანგ. #GE93LB0610009936089918

2955-მ-3-201707071430

N 2955-მ 07/07/2017

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის
აღმასრულებელ დირექტორს
ბატონ გაგი ბუაძეს

მოხსენებითი ბარათი

ბატონო გაგი,

გაცნობებთ, რომ თელავის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობისა და ფუნქციონირების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა დაგეგმილია ამა წლის 30 აგვისტოს ქ. თელავში და 31 აგვისტოს სოფელ კონდოლში. „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია მის მიერ დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია გამოაქვეყნოს, როგორც ცენტრალურ პერიოდულ ბეჭდვით ორგანოში, ასევე იმ თვითმმართველი ერთეულია ადმინისტრაციული ტერიტორიის ფარგლებში არსებულ პერიოდულ ბეჭდვით ორგანოში (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სადაც დაგეგმილია საქმიანობის განხორციელება.

გთხოვთ დაავალოთ შესაბამის სამსახურს თანდართული განცხადების გამოქვეყნება საჯარო განხილვის თაობაზე კანონმდებლობის შესაბამისად.

პატივისცემით,

ანა რუხაძე

გარემოს დაცვის სპეციალისტი

გარემოს დაცვისა და განსახლების სამსახური

განცხადება

თელავის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობისა და ფუნქციონირების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა

„ჩამდინარე წყლების მდგრადი მართვის პროექტის ფარგლებში", რომელიც ხორციელდება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) და მსოფლიო ბანკის დახმარებით, დაგეგმილია თელავის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა (წარმადობით 14 400 m^3/დღე), თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ კონდოლის მიმდებარედ.

ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ფუნქციონირება უზრუნველყოფს ქ. თელავის ფარგლებში წარმოქმნილი საკანალიზაციო წყლების გაწმენდას დასაშვებ დონემდე. გაწმენდილი წყლის ჩაშვება გათვალისწინებულია მდ. ალაზანში. ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ოპერირებას განახორციელებს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია".

თელავის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობისა და ფუნქციონირების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვები გაიმართება:

- 2017 წლის 30 აგვისტოს 14:00 საათზე ქ. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში (მისამართი: ქ. თელავი, ერეკლე II გამზ. №16),
- 2017 წლის 31 აგვისტოს 14:00 საათზე თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ კონდოლის საჯარო სკოლის შენობაში.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის (გზშ-ს ანგარიში, გზშ-ს ანგარიშის ტექნიკური და არატექნიკური რეზიუმე) გაცნობა შეუძლიათ შემდეგ მისამართებზე:

- თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობა – ქ. თელავი, ერეკლე II გამზ. №16;
- საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის (მგფ) ოფისი - ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის 150. მე-3 სართული (ტელ: (+995 577) 2437001; 2437002; 2437003; 2437004).

დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსიები განთავსებულია მუნიციპალური განვითარების ფონდის ვებ-გვერდზე: www.mdf.org.ge

საზოგადოების წარმომადგენლებს წერილობითი შენიშვნებისა და მოსაზრებების წარმოდგენა შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნებიდან 45 დღის ვადაში.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით ქვემოთ მითითებულ პირებს:

- ანა რუხაძე, მუნიციპალური განვითარების ფონდის გარემოსდაცვითი უსაფრთხოების სპეციალისტი, ტელ. (+995 577) 38 22 48; E-mail: arukhadze@mdf.org.ge ;
- გიორგი ბჟალავა, შპს „გამა კონსალტინგი" ტელ: (+995 577) 64 18 80; E-mail: goga@gamma.ge;

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი